საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 25 მაისის
დადგენილება № 455

2010-2011 სასწავლო წლის მარტის, აპრილის,
მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში სტუ-ს
ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტებისათვის
პრეზიდენტის სტიპენდიანტთა შერჩევის წესის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 აპრილის N270 ბრძანებით სტუ-ს ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებისთვის 2011 წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეებისათვის გამოყოფილი პრეზიდენტის სტიპენდია ფაკულტეტების შესაბამისად ბაკალავრიატის სტუდენტებზე, პირველ რიგში, განაწილდეს პრიორიტეტული სპეციალობების მიხედვით (ყველა საინჟინრო სპეციალობა, აგრეთვე ტურიზმი და ეკონომიკა);
2. პრეზიდენტის სტიპენდია დაინიშნოს 2010-2011 სასწავლო წლის ზამთრის სესიების შედეგების მიხედვით;
3. ფაკულტეტებზე, დეკანის ფუნქციის შემსრულებლის ბრძანებით, პრეზიდენტის სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმების შესამუშავებლად და პრეზიდენტის სტიპენდიანტთა შესარჩევად შეიქმნას საკონკურსო კომისია, რომელიც იხელმძღვანელებს შემდეგით:

   - პრეზიდენტის სტიპენდია დაენიშნება ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის სამშენებლო, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის, სამთო-გეოლოგიური, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის (გარდა ბიზნესის ორგანიზაციისა და ტრანსპორტის მენეჯმენტის სპეციალობებისა), არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტების ყველა სპეციალობის და ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ტურიზმისა და ეკონომიკის სპეციალობის იმ წარჩინებულ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრება შეადგენს 90%-ს და მეტს ;

   - პრეზიდენტის სტიპენდია დაენიშნება ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ყველა სპეციალობის (გარდა ტურიზმისა და ეკონომიკის სპეციალობების) და სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და ტრანსპორტის მენეჯმენტის სპეციალობის ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის იმ წარჩინებულ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრება შეადგენს 96%-ს და მეტს;

   – თუ გათვალისწინებული რომელიმე კრიტერიუმის დაუკმაყოფილებლობის გამო გაუნაწილებელი დარჩა სტიპენდიები, ისინი გადაეცემა მაღალი რეიტინგის მქონე სხვა სტუდენტებს;

   - პრეზიდენტის სტიპენდიის დანიშვნისას, ფაკულტეტებზე თანაბარი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა

სტუდენტურ კონფერენციებში და სხვა აქტივობები; ასეთ შემთხვევებში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;

4. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე გამოიცეს რექტორის ბრძანება პრეზიდენტის სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ. სალუქვაძე